Г-5/2 № 13079.

№ 72 **სახალხო გაზეთი** № 72

კვირა, 1 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

****** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

## დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე

(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს" პ რ ე მ ი ა).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დაიბეჭდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და თხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

ტფ. ქართული გიმნაზიის

## საპედაგოგიო საბჭო

აცხადებს, რომ საერთოდ ეგზამენები დაიწყება მარიამობის თვის ოცსა. ხოლო პირველ განყოფილებაში შესასვლელად გამოცდა მოხდება ოცდა შვიდსა. (6—6.—4)

—**კვირას, 1 აგვისტოს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს**—

**გაიმართება საინტერესო კავკასიური**



## ჭიდაობა

**წმიდა ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ**

**ამ კვირია იჭიდავებს კავკასიის პირველი გამოჩენილი**

**ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი**

## კოლა გლდანელი და

ყველასაგან ცნობილი ევროპის გამოჩენილი მოჭიდავე

## სილივისტრ პეტერსონი

2. გიორგი დოთიაშვილი გორელი და მეტივე დათიკო ნატრაშვილი 3. თედო კაკაშვილი და დათა ვანეზასშვილი, 4. ვასო კოშკელაშვილი და ბაგრატ სხირტლაძე, 5. თედო ნასყლჩიკი და ილიკო გეცაძე, **ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი**

კასა ღიაა დილის 10 საათიდან ჭიდაობის გათავებამდე.

დასაწყისი საღამოს 5½ საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე. (2—363—2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**გ. გაზაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ა. მამათაძე**—ყოვ... ყურ... ცხვირ.. და ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ. —6. 403)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღე; გარდა კვირა. 11-12 საა...

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დ... ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**სხიბოლევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—6.—242)

ქუთაისის სათავად-აზნაურო ქართული

## ს კ ო ლ ი ს

საბჭო ამით აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება ხსენებულ სასწავლებელში დაიწყება ამა წლის 25 აგვისტოდან.

თხოვნები სკოლის გამგის სახელობაზე და მოწმობები ყმაწვილების წლოვანების შესახებ მიიღება 25 აგვისტომდე და შემდეგაც.

მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლის ფასი პირველ ორ განყოფილებაში შესამჩნევად დაკლებულ იქნება.

სკოლაში კურს დამთავრებულნი პირდაპირ გადადიან **ქუთაისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის 1-ლ კლასში.** (4—6.—2)

**რადგან პირველ კრებას წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო, ამის გამო**

## შავი-ქვის ამხანაგობის კრება

დანიშნულია ხელ-მეორედ კვირას, 8 აგვისტოს, ჭიათურის თეატრში დილის 10 საათზედ. ამ კრებას რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს, კანონიერია. (3—2)

## რადგან კუკიის

მართლ-მადიდებელ სასაფლაოზე მებაღე დათხოვნილია, ამიტომ ვთხოვ ვისაც საფლავი ჩაბარებული ჰქონდა მებაღეზე—მე ჩამაბაროს. ვინც ტფილისში არ იმყოფება, მათ ჩამოსვლამდინ მე მოუვლი საფლავებს. თუ მებაღეს ერგება რამე ფული, გთხოვთ მე გადმომცეთ, რადგან მას წყლის ფული არ წარუდგენია.

(2—1) **მოიჯარადრე სასაფლაოსი კ. მიროტაძე.**

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი**

## „ერი და კაცობრიობა"

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—31)



## ქართული სახალხო თეატრი

კვირას, 1 აგვისტოს,

## რუსულ-შვეიცარიული

## ჭ ი დ ა ო ბ ა

**ქამრებით.**

რუსი დევგმირი ყაზახი როზანი მატიუშენკოსთან. პეტერსონი მიხეილ მაერთან. წითელი ნიღაბი ბერნეკატოსთან. შავი ნიღაბი ვან როტენთან. ნაჯი ახმატ მახოვთან.

ჭიდაობის დაწყებამდე ახალი სინემატოგრაფი უჩვენებს სხვა და სხვა საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს. საღამოს დასაწ. 9 ს., ჭიდაობისა 10½ საათ.

**ადგილების ფასი** (30 კაპ., 2 მან.) **ყველასათვის ხელმისაწვდომია.** (1—6.—1)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

**ხარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ხუდაბაშევი**— ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ. გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპია. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4— 5 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ი. მ. ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—79)

**ექიმი** მ. ს. **არჯევანიძე**

**ქუთაისში.**

იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე ბავშვებიც. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგოლოვისა. (25—გგ.—17)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ს. **მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** შ. ა. **მიქელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაზეთის ქ ტელეფონი N 816.

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—115)

**ექიმი** ე. **ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირბიჩნაია). (0—176

**ექიმი** ა. ნ. **დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

იზმაილოვ- ზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაიღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** გაბ. ი. **გოკიელოვი**

ქ უ თ ა ი ს შ ი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—6.—39)

**გაქირავდება** ერთი ოთახი ზემო სართულში მზიანი და ნათელი. შეიძლება მოწყობილობით და სადილით. კიროჩნი და ელისაბედის ქუჩის კუთხე № 69. მარჯვენა ზემოთი ზარი. იქვე მიიღებენ მოწაფეებს სრულ ხარჯზედ.

**გამოვიდა მე-30 ნომერი**





თითო ნომერი 10 კაპ.

წლიური ფასი 5 მან, ნახევარი წლით 3 მან. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

რედაქტ.-გამომც. **იოსებ იმედაშვილი.**

## დაბა ხონში

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების**

## წიგნის მაღაზიაში

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა ამხანაგობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის საჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

31 ივლისი.

**საზღვარ-გარედ**

**სტამბოლი.** ოფიციალური „ტანინი" მკაცრ წერილში ჰკიცხავს ბოლგარიის მთავრობას, იმის გამო, რომ ბოლგარიის წარმომადგენელმა ლონდონში ოსმალეთის მთავრობის საპასუხოდ განმარტება მოახსენა. „ტანინი" ბოლგარიის ელჩის საქციელს ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევად აღიარებს.

სამოსიდან მოსული დელეგატები, რომელთაც პროტესტი უნდა გამოეცხადებინათ გუბერნატორ კაპასი ეფენდისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაპატიმრებულ იქნა.

ბასორში აღმოჩნდა შავი-ჭირიანი ავადმყოფი.

დრუზები თავს დაეცნენ ბარაბაშის კარს. ჯარის კაცემა რამდენიმე უკუ აგდეს ჯარის კაცები, მთავრობამ დამასკის გუბერნატორს 120.000 პიასტრი გაუგზავნა დრუზებისაგან დაზარალებულთა გაჭირვებულ მცხოვრებთა დასახმარებლად.

**ფრანკფურტი მაინზე.** დიდძალ ხალხის თანასწრებით ქალაქის საავადმყოფოს აუდიტორიაში პროფესორმა გერცგეიმერმა წაიკითხა მოხსენება იმაზე, თუ რა შედეგი მიიღეს, როდესაც ავადმყოფებზე სცადეს პროფესორ ერლიხის მიერ გამოგონილი საშუალება. აღმოჩნდა, რომ ამ საშუალებას მეტად კარგად უმოქმედია. 4000 დაკვირვება მოუხდენიათ 2000 შემთხვევის შესახებ უნდა ითქვას, რომ ავადმყოფნი ამ საშუალების მეოხებით გადარჩნენ სიკვდილს. მოკვდა მხოლოდ 4, ამასთან მიზეზი სიკვდილისა ავადმყოფთა სუსტი აგებულობა იყო. გაზეთების ცნობის გასაბათილებლად ერლიხმა განაცხადა, რომ არ მახსოვს ვინმეს მხედველობა დაჰკარგოდეს ამ საშუალების მიღებას გამო. საბოლოოდ რომ გამოირკვეს, თუ როგორ მოქმედობს ეს საშუალება, საჭიროა კიდევ ორი წლის განმავლობაში შინჯვან ავადმყოფებზე.

**ს პ ა რ ს ე თ ი**

**თეირანი.** პოლიციის ბრძანებით ბაზარი დაკეტილია. მუსტაფი-ულმემლიკმა წარუდგინა მეჯლისს პროექტი უცხოეთის მრჩეველთა მოწვევის შესახებ ამ პროექტით უნდა მოწვეულ იქმნას 7 ფრანგი ფინანსთა სამინისტროსათვის, ოთხი შვეიცარიელი ჟანდარმების მოსაწყობად, ფრანგი და ეგვიპტელი იუსტიციის სამინისტროსათვის, იტალიელი პოლიციისათვის. მუსტაფი-ულ-მემულიკმა აღუთქვა მალე წარმოვადგენ პროექტს ჯარისათვის უცხოეთიდან მოსაწვევ ინსტრუქტორების შესახებ. რეგენტმა აზიდ ულ-მულკმა თხოვნა შეიტანა სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

**ურმია.** პროვინციის დასავლეთ ნაწილის დაცვა გუბერნატორმა თემურ ბეგსა და მის რაზმს ჩააბარა, ხოლო გადასახადების აკრება ნეზელიჩაის სოფელში ჩაბარდა თამირზას. ორივენი ცნობილი ქურთი ყაჩაღებია, რომელნიც შიშის ზარსა სცემენ მცხოვრებთ. გუბერნატორის საქციელი საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევს.

**ურმია.** ღამე, ურმიის ახლო-სოფელში თემირ-ბეგის რაზმმა სულ გადასწვა ქრისტიან მცხოვრებთა მოსავალი და სამიწადმოქმედო იარაღები. გლეხები ულუკმა პუროდ არიან დარჩენილნი.

**ჯულფა.** 20 ვერსის მოშორებით გასცარცვეს სპარსეთის ფოსტის თანამხლებელნი, რომელნიც მიდიოდენ თავრიზიდან წერილებისათვის ხელი არ უხლიათ.

**თავრიზი.** ჯულფა-თავრიზის შორის ავტომობილებით ბარგის გადაზიდვის სიქმე ვითარდება. დადიან ბარგისა და სახალხო მიმოსვლის ავტომობილები—ერთბაშად გადააქვთ 1200 ფუთი. სამგზავრო ავტომობილები მუდამ სავსეა.

**ჰ ა ე რ შ ი ფ რ ე ნ ა.**

**პეტერბურგი.** 30 ივლისს საცდელად პირველად აფრინდა დირიჟაბლი „კომისინი". დირიჟაბლი 8 ს. და 35 წუთზე აფრინდა; 3-ჯერ შემოევლო ვენკოვის მინდორს; ავიდა 90 საჟენის სიმაღლეზე! ოცდათხუთმეტის წუთის ფრენის შემდეგ მშვიდობით ჩამოეშვა ძირს; ფრენას ხელმძღვანელობდა დირიჟაბლის გამგე ზემჩენკო.

**დონის-როსტოვი.** ჰაერში ფრენის დროს ავიატორი უტოჩკინი აფრინდა 3 საჟენის სიმაღლეზე, ერთს წუთამდე დარჩა ჰაერში მერე მოსწყდა, დაეცა ძირს და მსუბუქად დაშავდა; აპარატი დაიმსხვრა.

**ლონარსკი.** გუშინ ამერიკელი დრექსელი აფრინდა ერთ ვერსს ნახევრის სიმაღლეზე. ჯერ ასე მაღლა არავინ აფრენილა.

**რ უ ს ე თ ი**

**კიევი.** კიევის მაძიებელ პოლიციის ყოფილ უფროსს ასლანოვს, რომელიც გამასწორებელ განყოფილებაში მესამედ ზის, ხელახლად სამართალში აძლევენ სიყალბისა, მითვისებისა და ძალით ფულის წართმევისათვის.

**სმოლენსკი.** გაიხსნა მესამე კრება მიწის მომწყობ კომისიათა აგრონომებისა იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ მოაწყონ სხვა და სხვა სააგრონომო დახმარება.

**ალექსანდროვსკი** (ეკატერინოსლავის გუბ.) ოდესიდან რომ შავი

ქირი არ შემოიტანონ ზომებს იღე-ბენ, სწყვეტენ თავებს, ერობამ დაიბარა შავი ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

**სამარა.** სოფ. ზნამენსკაში, ბუ-გურასლანის მაზრაში, მწერალ აქ-საკოვის სახლში დიდის ამბით გახ-სნეს სადურგლო და საზეინკლო სა-ხელოსნოები, სადაც მსურველთ შე-ეძლებათ ხელობის შესწავლა; კურ-სები გახსნილია სამარის გუბერნიის თავად-აზნაურობის მიერ აქსაკოვის ხსოვნის პატივსაცემლად.

ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** სააგენტოს ცნობით ამ ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა და გარდაიცვალა: ბობრთვში და ახლო-მახლო სოფლებში ავად გახდა 70, გარდაიცვალა 27, მაზრაში ავად 128; გარდაიცვალა 54; სენის დაწყე-ბიდან გახდა ავად ქალაქსა და მაზრა-ში 483, გარდაიცვალა 233, ამ ხანად ავად არის 199; ნიჟნიში ავად გახდა 83, გარდაიცვალა 29; გუბერნიაში ავად გახდა 315, გარდაიცვალა 2; სიმ-ბირსკში სენის დაწყებიდან ავად გახ-და 137, გარდაიცვალა 64, ამ ხანად 38-ია ავად; ცარევში, ასტრახნის გუბ. პოლიციის ცნობებით რამდენიმე შემთხ-ვევა იყო; ჩისტოპოლში სამი დღის განმავლობაში გახდა ავად 5, გარდა-იცვალა 3; მაზრაში სენი სწყდება ს. სუმ-სკოში იმიმის მაზრა პირველი შემთხ-ვევა იყო; 5 დღის განმავლობაში გახ-და ავად 22, გარდაიცვალა 12; ატკა-რის მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიც-ვალა 2; კრონშტადტში 29 მკათათვეს ავად გახდა 10 ამათგან ერთი მეზღვა-ური და ორი ჯარის კაცი; სენის დაწ-ყებიდან ავად გახდა 52; გარდაიცვალა 15; ტიუმენში იყო პირველი შემთხვე-ვა ავადმყოფობისა; სნეული სამხრეთ რუსეთიდგან მოვიდა შეჰმანის მაზრა-ში გერმანელების ახალშენს კლასტიც-ში პირველი შემთხვევა იყო; ვიატკაში ავად გახდა 28; სამაპულის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 4; ნე-ლინსკისში ავად გახდა 2; ურჟუმსკი-სში გარდაიცვალა 1; ნიკოლაევში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; ხუტორებ-ზე ავად გახდა 10, გარდაიცვალა 2, ავად არის 98; ოდესის მაზრაშიაც გაჩნდა სენი, მიშენიოში სამაზრო სა-სანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ დაადგინა სასწრაფოდ პოლიციას ექიმე-ბითურთ გამოიკვლიოს ქალაქის, საბაზ-რო სოფლების ქარხნების და ზავო-დების სანიტარული მდგომარეობა, გა-მონახოს სადგომი ხოლერიან ავად-მყოფთა ჯანმრთელებისაგან გასაცალკე-ვებლად; კიევის საგუბერნიო ერობამ სათადარიგო თანხიდან კიდევ გადასდო 25,000 მ. ხოლერასთან საბრძოლ-ველად! დნესტრის ნაპირებზე ბესარა-ბიაში გამართულია სასანიტარო—შემ-დები პუნქტები, გემებზე გამართულია სასანიტარო კაიუტები, ექიმები შინჯა-ვენ გემებს.

# ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ხოლერასთან ბრძოლა.** ამ დღეებში კრება ჰქონიათ კოჯორის რწმუნებულთ ხოლერის წინააღმ-დეგ ღონისძიებათა შესამუშავებ-ლად. კრებას დაუდგენია: გაიყოს კოჯორი სამ სასანიტარო უბნად და თვითეულ მათგანში დაინიშნოს ითითო სასანიტარო მზრუნველი, მოწვეულ იქმნას ექიმი და ფერშა-ლი და ტფ. გუბერნატორს ეთხო-ვოს ეს დადგენილება საჩქაროდ დაამტკიცოს, რათა თავის დროზე იქმნეს მიღებული ზომები საშინელ სენის წინააღმდეგ.

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სასა-ნიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 30 ივლისის დილის 9 საათიდან 31 ივლისის დილის 9 საა-თამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 4 კაცი, ხოლერის ნიშნებით —1. ხოლერიანთა სამკურნალო-ში იყო სულ 38 ავადმყოფი, მოე-მატა—2, მორჩა და გამოეწერა—2, მოკვდა—2, დარჩა—37.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნო-ბით, 30 ივლისს ტფილისში ხო-ლერით ავად გახდა 4 კაცი. მათი გვარები: 1) პერჩ ვოგანისძე ვოს-კანოვი, 2) ევდოკია პლატონის ასული კორობჩენკო, 3) ანნა ნიკო-ლოოზის ასული მაიოროვისა და 4) იაგორ ივანეს ძე დიმიტრიშვილი. ავადმყოფთა ბინებს შესაფერი დე-ზინფექცია გაუკეთეს.

✦ **მუცლის ავადმყოფობა სო-ხუმში.** დეპეშათა სააგენტოს ცნო-ბით სოხუმის ოლქის ორ სოფელ-ში ერთგვარი მუცლის ავადმყოფო-ბა გაჩენილა. მეტად სწრაფად ედება სენი. ამ სენით ავადმყოფი გარდაიცვალა.

✦ **უბედური შემთხვევა.** რო-გორც დუშეთიდან გვატყობინებენ ამ დღეებში სოფ. მლაშეს მცხოვ-რები თადია ქერდიკაშვილი ურემზე ძნას უდებდა, უცებ ფეხი გადაუ-ბორძიკდა და მიწაზე ზურგით ისე მაგრად დაეცა, რომ გონს ვერ მო-ვიდა და იქვე გარდაიცვალა.

✦ **უპასპორტონი.** 30 ივლისს საერთო ჩხრეკის დროს პოლიციამ ტფილისში 38 უპასპორტო და მა-თხოვარი შეიპყრო.

✦ **სენატორ ვატაცის გამგზავ-რება.** გუშინ სვანეთს გაემგზავრა ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ვატაცი. სენატორს თან ახლავან კავკასიის საადმინისტრაციო დაწე-სებულებათა უმაღლესი წარმომა-დგენელნი.

✦ **თავის მოკვლის განზრახვა.** 30 ივლისს კრასნოგორის ქუჩაზე თავის მოკვლის განზრახვით ნინო სიმონის ასულმა ხახუტოვისამ კარ-ბოლის სიმჟავე დალია. მოწამლული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახუ-რი უსიამოვნებაა.

✦ **აქ. შ. წერაკითხვის კავკა-სის განყოფილება.** რედაქციამ მი-იღო ქ. შ. წერაკითხვის საზოგა-დოების გამავრცელებელი საზოგადო-ების კავკავის განყოფილების ანგა-რიში, რომლიდანაც სჩანს, რომ გა-ნყოფილებას 1904 წელში ჰქონია შემოსავალი 4887 მ. 42 კ. ხოლო გასავალი 4189 მ. 43 კაპ. შემო-სავლის წყარო ყოფილა უმთავრე-სად სეირნობა—წარმოდგენებიდან შემოსავალი 2259 მანეთი, თითქმის მთელი შემოსავლის ნახევარი. საა-ნგარიშო წელში შემოსულა საწე-ვრო ფული 958 მ. 50 კაპ. და სათეატრო დარბაზის ქირა 85 მ. და შემთხვევით შემოსუ-ლა 200 მანეთი. გასავალი ყოფი-ლა—მასწავლებელთა ჯამაგირებზე 2280 მან. დანარჩენი სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯებია. ამ ხარჯებში შედის 85 მან. 50 კაპ. რომელიც ეძლევა ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიანტს. 1910 წლის სავა-რაუდო შემოსავალი 4048 მანეთია ნაანგარიშევი. საწევრო ფული წინა წელზე მეტი—1000 მანეთი. ხოლო სეირნობიდან 2500 მან. დახმარება ქალაქის მიერ 200 მან. ხარჯი მო-სალოდნელია 4404 მ. 75 კაპ. ე. ი. შემოსავალზე მეტი.

1909 წელში განყოფილებას ჰყო-ლია საპატიო წევრი ერთი (სტეფანე სვიმონის ძე ელიაძე), და 225 წევრი. განყოფილებას ჰყავს სტიპენდიანტი, რომელსაც ეძლევა 300 მანეთი წე-ლიწადში. ხოლო ადგილობრივ რე-ალურ სასწავლებელში ილია ჭავჭა-ვაძის სახელობაზე ერთი სტიპენდი-ანტი ჰყავს და აძლევს 85 მანეთს. განყოფილების სკოლაში საანგარი-შო წლის განმავლობაში ყოფილა 244 მოწაფე, გარდა ერთისა, ყვე-ლა ქართველები. აქედან 132 ვაჟი და 112 ქალი. სკოლაში ოთხი გან-ყოფილება ყოფილა. სკოლის მზრუ-ნველთ და განყოფილებას აზრად აქვთ სკოლა ორ კლასიანად გადა-აქციონ. ამას გარდა სკოლის შე-ნობაშივე დაარსებულია საკვირაო სკოლა მოზრდილთათვის შუამდგო-მლობაა აღძრული სამკითხველოს დაარსების შესახებ. ამ ანგარიშში აგრეთვე ყურადღებას იქცევს სკო-ლასთან არსებული სცენის მოყვა-რეთა წრე, ქალთა ჭრა-კერვის სას-წავლებელი და კავკასიის ქართვე-ლთა საკრედიტო ამხანაგობა. სა-კრედიტო ამხანაგობა დაარსებულია 1909 წლის 16 აგვისტოს სტეფა-ნე ელიაძეს ძირითად თანხად შე-უწირავს 1000 მანეთი, ხოლო 2046 მანეთი მოუგროვებიათ კავკავის ქართველებში. ეს 3046 მანეთი სკო-ლის საკუთრებადაა და ამავე დროს ძირითადი თანხა საკრედიტო ამხა-ნაგობისა. წმინდა მოგების 4% სკოლის სასარგებლოდ უნდა გადა-იდოს. საანგარიშო წელში ე. ი. 16 აგვისტოდან 1910 წლის 1 იანვრა-მდე ამხანაგობას ჰქონია წმინდა მო-გება 132 მან. 4%—ე. ი. 52 მ. 54 კ. სკოლისათვის გადაუციათ.

✦ გამოვიდა **„თეატრი და ცხოვრე-ბის"** მორიგი, მე-30-ე ნომერი, შინა-არსიანად შედგენილი სხვა-და-სხვა მა-სალით. ამ ნომერში მოთავსე-ბულია: „სამსხვერპლო და ქურუმი", მეთაური; „სასაფლაოზე"—დუტუ მეგრე-ლისა, „ჩემი შენიშვნები"—შალვა და-დიანისა; „გამოძახილი" — ნ. ჩხიკვა-ძისა; „მოთამაშე ქათმები" — მხცო-ვანის მგოსნის აკაკისა; „ვინ ვინ მო-ჰკლა" (ყქ. ალამალოვის მკვლელობის გა-მო)—ი.—ი—სა; „დასავლეთ ევროპის ლიტერატურა—48 წ. რევოლიუციის მეო-რე დღე"—პეტრე დადვაძისა; „რჩეული"—ბაბილინასი; „ყრუ სოფელში", სცენე-ბი სამ. მოქ., ივ. ჭავჭანიძისა; „ხელთათ-მანი"—ნ. ლორთქიფანიძისა; „დიქცია—გ. ჯაბადრისა; „ჩვენი ტკივილები"—კლია-ხასი; „ნ. გვარამის ბენეფისი ხონში"; „ხე-მი შთაბეჭდილებანი"—იუზა ზარდალი-შვილისა; „სათეატრო ამბები"—ადგი-ლობრივი, რუსეთის, უცხოეთის, დაბა-სოფლები; „წერ. რედ. მიმართ"—სილ. ბახტაძისა; „ლექსი"—კიკნა-ფშაველასი, სხვა-და-სხვა სურათები და სხვ.

ქუთაისიდან გვატყობინებენ, სადგურ გელათთან ვიღაც გლეხებს და რკინის გზის მუშას სერგეი კარანაძეს მოსვ-ლიათ ჩხუბი. მიზეზი კარანაძისაგან გლე-ხების საქონლის დამწყვდევა იყო. ჩხუბის დროს ერთ გლეხს მსუბუქად დაუჭრია კარანაძე.

✦ 29 ივლისს ტფილისში, საცდელ სამგზავრო ორთქლმავალმა გასჭყლიტა მეიარე გაბრიელ ქეუასელი.

✦ სანაინიდან გვატყობინებენ, 29 ივ-ლისს საღამოს 2საათზე მთის წვერვალი-დან ასი საჟენის სიმაღლიდან მოიმზღვა უზარმაზარი დიდი წონით ასე 1500 ფ-მდე კლდე და ლიანდაგს დაეცა. გაფუჭებულია მთავარ ლიანდაგის რელსები, წყლის მილი, ტელეგრაფის ბოძი. გაფუჭებულია აგრე-თვე ორთქლმავლის მისაბრუნებელი ბაქანი.

## ჭირს დამალვა არ არგებს

ვგონებ, საწყენიც კი ალარავისთვის უნდა იყოს იმ ჭეშმარიტების აღია-რება, რომ ქართველი სამღვდელოე-ბა თავის დანიშნულებას და მოვა-ლეობას დიდიხანია აღარ ასრულებს წესიერად წინაშე ღვთისა და ერისა... ეს, რასაკვირველია, შედეგია გარე-მოების... მაგრამ გარემოების შემო-ქმედიც რომ თვით წრე, საზოგადოე-ბა და პიროვნებაც კია, ამასაც ნუ დავივიწყებთ.

დიდიხანია გამოვიტირეთ დაკარგვა ეკლესიურ თვით-მოქმედების უნარი-სა... გათახსირება და მივიწყება უმდი-დრეს სასულიერო ნაშრომ-ნაწარმოე-ბის .. დაკარგვა უძვირფასეს ეკლესი-ურ ავლა-დიდების,.. დაკარგვა ეროვ-ნულ ნიადაგისა ქადაგებაში, გალო-ბაში, წირვა-ლოცვაში!..

მაგრამ იმ ზომამდის მიღწევა თა-ვის ქნევაში და „ბალი ალას" ძახილში ჩვენი სამღვდელოება არა დროს არ მისულა, როგორც უკანასკნელ ხანე-ბში... აღარც თაკილი, აღარც სინი-დისის ქეჯნა: „ძლიერის სურვილი კანონია სუსტისათვის..." „არ არსე-ბობს ქართველი სამღვდელოება, არიან მხოლოდ სინოდის ნების აღმ-სრულებელნი და სხვა არავინ" კრე-ბეებზედ პირდაპირ გაიძახიან მოთა-ვენი და თანაც უკვირთ, თუ რატომ ყველასათვის გასაგები არ არის ეს... იმიტომ, რაც გინდა მახინჯი და მავ-ნე მოსაზრება წამოაყენოს კრებაზედ ძილით შემოსილმა უცხოთა წრემ, ყველანი კვერს უკრავენ, ყველანი თავს უკვრენ ..—საკუთარი მოთხოვ-ნილების წამოყენება ხომ სრულებით უარ-ყოფილ იქმნა ამ ბოლო ხანებ-ში... სადამდის გაგვყვება ეს უკულმა-რთობა, სწორედ რომ დამაფიქრე-ლია...

—

ტფილისში, სადაც კი ზოგჯ... მაინც გაისმოდა ხოლმე ქართუ... წირვა, ან გალობა, დღეს მთლ... სლავურად შეცვალეს... რუსულ ... ლობის გუნდი ყველგან მწყობრ... გაჰკივიან—ქართული გალობა კი ყ... ლგან მოისპო. მიცვალებულზედ ფ... ლით ვეღარ გვიშოვია მგალობელ... გუნდი და თუ შემთხვევით რამდენ... მე „მგალობელს" მოჰკრებს ვინ... მათი ყვირილი სლავურს გაგონ... და არა ქართულს... არის საეკლეს... ხორო, რომელიც „ისაია მხიარულ... „ზესტაფონო მშვიდობითის" ხმაზ... მღერის და დამშლელი არავინ ჰყავს... ტფილისში სამიოდ ეკლესია ... მისდევს ქართულ ტიბიკონს, მაგრ... რას იზავთ. როდესაც „ხოროს"... შოულობს და დიაკვნების გაუგებ... კითხვა-გალობა მოძღვართ ბევრჯ... სარცხვილის ოფლსა და სიწითლე... აგდებს... ამ დღეებში მღ. ვასილ კა... ბელაშვილმა გამოაცხადა სურვი... ძველ სემინარიის შენობაში გალობ... უფასო სწავლებისა, საეკლესიო კრ... ბულთ მიჭმართა გაზეთებითაც, წ... რილებითაც, მაგრამ 7 კაცი ძლი... შეიკრიბა, მეტი არავინ მისულა...

ანჩის-ხატის დეკანოზი მ. ზუმბ... ლაძე თვეში 25 მან. იძლეოდა ... ქართული ხორო ვერ იშოვა, როდ... საც 15 მან. და 20 მანეთად 30 კაც... საგან შემდგარ რუსულ ხოროს ყ... ველთვის იშოვი. სადღაა მგალობელ... თა გუნდი ჩხიკვაძის, მონადირიშ... ლის, ალნიაშვილის?—დაიშალნენ, რ... დგან ეკლესიის წინამძღვართ ხელ... არ შეუწყეს და რუსული „ხორო... ბი" გაიჩაღეს. საწყალმა პლატონ იო... სელიანმა უკანასკნელი გროში მოი... ლო, პალესტინიდან ბეთლემის ეკლ... სიის გეგმა მოიტანა, სიონო... ამაღლების ეკლესია იმ გეგმაზედ ააშ... ნა, დღეს კი შიგ ქართველი მღვდ... ლი სლავურად სწირავს და 30 სალ... დათისაგან შემდგარ ხოროს აგუგუნე... სლავურად. ავლაბრის პეტრე-პავლ... ეკლესიაში ქართული წირვა-ლოც... სრულებით მოისპო, სამუდამო რუს... ლი ხორო დაწესდა, მრევლი კი ორ... წილი ქართველია, ერთი რუსი, მთ... ვარ ანგელოზის ეკლესია ურუსულ... ზედ რუსული ეკლესიაა—ქართულ... იქ გამოდევნილია, 100 კომლი ქართ... ველი კი მაინც მრევლად უჭირავს. ეკლესიურმა უკულმართობამ ქართ... ველს ისე გაუტეხა გული, რომ იგ... ასეთ დიდ საქმეშიაც კი, როგორ... ეკლესიის მრეცლობაა, არას დაგიდევ... და საბოლოვოს არა ფიქრობს...

—

ეპარქიულ სამღვდელო კრებაზე ყოველთვის ჩივილისა გამო, რომ დი... აკვნებმა არც ქართული კითხვა იცი... ან და არცა ქართული გალობა... დიდიხანია გადააწყვეტინა მედავით...

## გზაზე

ფოთოლი ნიავს აჰყვება,
ჩონგური გულის ძგერასა,
და ზვირთი აგორებული
ზღვის გააფთრებულ ღელვასა!
შენ კი ჩემ ფიქრებს ნაღველო
ასდევ და არა ჰშორდები,
მინდა, არ მინდა, უნებურ
მაინც ვფიქრობ და ვღონდები.
ვფიქრობ: საითკენ მივყევვართ
ცასა და მიწის ტრიალსა,
რისთვისა გვშობა მშობელმა,
რადა ვსვამთ მწარე ფიალსა.
ვფიქრობ და შავი ყორანი
ფრთასა შლის ცისა წიაღში,
ვერ ვპოვე მისი პასუხი
ვერც გააფთრებულს ნიანგში!
მოღუშულ-დაღონებული
მაინც მივდივარ ბილიკზე,
მივსდევ მთას, ავალ მწვერვალზე,
სხვა გამოჩნდება დილის მზე,
მის სხივებს გამოვუდგები...
კიდევ მთა, კიდევ მწვერვალი,
და ასე ლოდვით მიდიან,
მონა და მისი მხევალი!
დასდგე—ქარი გცემს, არ დასდგე
როდემდის უნდა იარო,
კიდევ მთა, კიდევ მწვერვალი
რამდენი გადაიარო?
უკანა რჩება ნაკვალი,
რაც გუშინ გვიშენებია,
სადაც გვეგონა სამოთხე
სუდარა დაჭფარებია!
მიყრილ-მოყრილა მთა, გორა,
აკლდამა აკლდამაზეა,
ბუ შემომჯდარა ჯვარზედა,
გაჰკივის გლოვის ხმაზეა.
თითქოს სიზმარში ის მხარე
მახსოვს რომ გადმოვიარე,
მაშინ იქ სდუღდა სიცოცხლე,
ესევ მზე ესევე მთვარე!
ეხლაც კინაღამ მიმექცა
კვლავ სხივებს ველამუნები
უკანა ვსტოვებ ნანგრევებს
და წინ შორს გავიყურები.
ნაღველო, ჩემო ნაღველო,
აჩრდილო ჩემი ფიქრისა
მდუმარე მოპასუხე ხარ
შენ მხოლოდ ჩემი კითხვისა.
მაინც მივდივართ, მივდივართ
სივრცეა გაუზომელი,
ჩვენც გადაგვყლაპავს დრო, როგორც
ვეშაპი გაუძღომელი!
წავა-წამოვა სხეული,
მტვერი მტვერს მიემატება,
ზედ ან ეკალი ამოვა,
ან ვარდი დაიხატება!
მაგრამ ფიქრი და ნაღველი
გაუდგებიან შარასა
და მგზავრსა ახალს მისცემენ
ისევ ძველ გამოცანასა!
ნაღველო, ჩემო ნაღველო,
აჩრდილო ჩემი ფიქრისა,
ნუ თუ შენა ხარ პასუხი
ამ გულსაქჯენავ კითხვისა?!

**ი. ევდოშვილი.**

## მგოსანს

მშვიდობით! მიხვალ ცივ სამხრეთისკენ,
უმადურ შვილთაც გზა დაგილოცეს!
ვინ მოგიგონა, როს შენი სული
სამგლოვიარო ძაძით შემოსეს?
ოჰ, მეგობარო, ვიცი შეგაკრთობს
ნაცნობ კერისა შენ დაშორება;
მაგრამ ჩივილსა არ ხარ ჩვეული,
არც თვალით ცრემლი გადმოიღვრება!
განა თუ მთანი მშობელ ქვეყნისა,
ან ტყე ალაზნის ნისლ მობურული,
კახეთის ვრცელი ქალო-წალკოტი
თამამად შლილი აყვავებული,—
არ დაგიწყვეტავს ჩანგის ნაზ სიმებს,
როს მოიგონებ ესდენ უხილავს;
შენ შორს იქნები უცხო შვილებთან,
შავს ფიქრს გაანდობ სხვა ქვეყნის ნიავს.
იქ გაიხსენებ წარსულს და აწმყოს,
და მომავალსაც ეჭვით შეჰხედავ;
ვაჰ, თუ წამოგცდეს შენ ობლად შთენილს,
„სადა ხარ ჩემო, მშობელო დედავ"!?
და ინუგეშებ რომ ზოგჯერ მაინც
ოცნება ტკბილი გამოგიქროლებს;
დაგესიზმრება სხვა მომავალი,—
ის გაანედლებს შენს ჩამჭკნარ ფოთლებს.
მშვიდობით! მიხვალ და ჩვენ აქ გვტოვებ,
ვხედავ ჭრილობას შენს შიშველ ტანზე:
„ვინ იცის კიდევ რამდენი მსხვერპლი
უნდა დაეცეს ეკლიანს გზაზე".
მშვიდობით იყავ და სალამს გიძღვნი,
სალამს სევდიანს და გამწარებულს;
თვით შენთან ჰხდება კვნესა გულისა
შენს ტურფა მამულს, ჯვარზე წამებულს!
თუ კიდევ შევხვდით... და თუ ვერ შევხვდით
დე ცრემლი თვალით გადმოიღვაროს;
რომ ამა ცრემლმა, ვით ვნების წყარომ,
შემდგომ ბრძოლისა სხვა გაახაროს!

**ა. შანშიაშვილი.**

## ნანა

შუა ღამეა... სძინავს ნიავსა...
არც ქარი ჰქრის და არც ქარიშხალ...
შენც დაიძინე, მე გეტყვი ნანას,
შენც დაიძინე, დახუჭე თვალი!
ტკბილი იქნება ჩემი ნანინა,
ვით ტკბილი არის ძუძუ დედისა;
მწარე იქნება ჩემი ნანინა,
ვითა ლენცოფა მაღალ ქედისა.
თუ ძილში გულმა კვნესა დაგიწყოს,
არ წამოიჭრა ლახვარ-სობილი;
წყლულზე იარას ნუღარ დამადებ,
ისეც ტანჯვით ვარ წარმოშობილი.
შუა ღამეა... სძინავს ნიავსა...
არც ქარი ჰქრის და არც ქარიშხალი...
შენც დაიძინე, მე გეტყვი ნანას,
შენც დაიძინე, დახუჭე თვალი!

**ახოხმირელი.**

## სიოვ შეგნატრი...

სიოვ, შეგნატრი, როს ზურმუხტ ველზე,
ლაღად დაფრინავ, მღერი ეულად!
ნორჩ მდელოს, ყვავილთ ეხვევი ყელზე,
ესისინები ნაზად, გრძნეულად.
ხანაც შორს მიჰქრი,
ვით ლაღი ფიქრი,
თითქოს მშვენებას ყვავილთ უწუნებ!
და ვერცხლის ტალღებს.
შავ ფიქრთა წამლებს,
ოდნავ აღელვებ და ადუდუნებ!
თავისუფალო მთა ველთა შვილო,
შენ შემოგნატრი, ნეტავი შენა!
ახ! მეც შემეძლოს ალთქმის ქვეყნისკენ
დაუყოვნებლივ ლაღად გაფრენა!

**კ. ბაზიეხმირელი.**

ნეთა კურსების დაარსება. დარიის მონასტერთან უნდა გაეხსნათ ეს კურსები, სადაც სასულიერო სასწავლებლიდან გამოსულ პირთ შეასწავლიდნენ გაგებით ქართულ სამღთო წიგნების კითხვას, გალობას და განავითარებდნენ საღვთის-მეტყველო ცოდნაში. რუსის და ქართველთ სამრევლო სკოლებშიაც კი სლავურს იმდენად ასწავლიან, რომ უხსნიან საღმთო წიგნებში სახმარ ძნელ სიტყვებს, იმიტომ ბალღიც კი ხლავურად შეგნებით კითხულობს—ჩვენში კი დიაკვანი რას ბუტბუტებს, თითონაც არ იცის... ამ საჭირო საქმის შესასრულებლად კრებანი კამისიას ავალებდნენ შეემუშავებინათ ხარჯთ-აღრიცხვა და პროგრამა კურსებისა... არ იქნა და არ ეღირსათ ამ წადილის შესრულება. წელს, როცა სამღვდელოების კრება შეიწყო ტფილისში, კომისიამ მარტო მაშინ წარუდგინა ეს გეგმა ეგზარხოსის მოადგილესათვის, ხოლო ამ უკანასკნელს უდროოდ უცვნია შემუშავებული პროგრამა და კრებისთვის ხარჯ-აღრიცხვა კრებისათვის გადაუცია განსახილველად...

ამბობენ, თუ მთავრობამ დანიშნა რომელიმე ქართველი მღვდელი კომისიაში, სიხარულით ცას მოეწევა და თუ კრებამ, მოიბუზებაო... „ლიბერალად" არ ჩამთვალოს მთავრობამაო..

—

საეპარქიო სასწავლებლის საბჭოში უმხოლოდ ორი ქართველი მღვდელია წევრად, დანარჩენი რუსები და ისეთია ეს საბჭო, რომ ვოსტორგოვის დროისა ნეტარ-სახსენებლად ჰხდის. ერთ დროს ქართველი სამრევლო სკოლები მრავლად არსებობდა: ხარფუხში ორი სამრევლო სკოლა, კუკიაში წ. ნიკოლოზის, ქვა-შვეთის, ვერის წ. ნიკოლოზის. სოფლებში ხომ უფრო ბევრი სკოლები საბჭოს ხარჯზედ ირსებოდა, ხოლო დღეს ეს სკოლები დაკეტეს და ფული რუსის სასწავლებლებზედ გადიტანეს. არავინ იკითხავს განა, რაიქმნა ქართლში ტირძნისის ორ კლასიანი სამეურნეო განყოფილებით სამრევლო სასწავლებელი, რომელიც იმ დროს იყო სახელოვანი, მხოლოდ ახალმა საბჭომ მოსპო და ფულიც არ იციან, სად წაიღეს. ამ უკუღმართობას ჩვენი სამღვდელოება არა თუ წინ აღუდგა, არამედ თვით შეუწყო ხელი. ამას უარესი მოჰყვა: ვოსტორგოვი ვერა ჰბედავდა, მის შემდეგ კი გაბედეს და სკოლების მეთვალყურეთ ქართული ენის უცოდინარნი და სწავლის სადამთავრებასაც კი მოკლებულნი პირნი ჩააყენეს... ესენი უწევენ „რევიზიას" ქართულ სკოლებს...

—

კომისიებზედ ითქვა სიტყვა და ამის შემდეგ განა შეიძლება, რომ არ მოვიგონოთ ორი „ისტორიის ღირსი" სადი სასულიერო წოდების კომისიანი?! მოგახსენებთ „მღვდელთა ხარისხის მიმცემ გამოცდის კომისიაზედ და „საეკლესიო წიგნთა, არამთუ შემწორებელ, მთარგმნელ მეცნიერ კომისიაზედ"...

ჩვენ კურთხეულ ქვეყანას ბლომად ჰყავანდნენ მღვდლები „კურთხიეები", „მკვდრის ყლაპიეები", მაგრამ ამათგან ქართული ეკლესიური კილო მაინც გესმოდათ, სიტყვა-პასუხი ღვთიური —სათნოიანი: დღეს კი ამ „გამოცდის" კომისიის წყალობით ვის არ ვხედავთ სოფლებში მღვდლად?! ავლაბარ—იარმუკის სიტყვა-პასუხის მღვდლებს ქუდით მოჰხვეტამ... ვერ დასთვლით იმათ, ვანც ხელის მოწერა არ იციან, დოკუმენტების წარმოება და ტიბიკონიც ეკლესიური კი არ აქვთ სახელმძღვანელოდ, არამედ თავიანთებური....

სამღვთო წიგნების ბეჭვდა პირველად ვაჰტანგ რჯულმდებელმა იწყო ჩვენში, თუმც ვახტანგ მეფეს ხელთ ჰქონდა მრავალი ვარიანტნი ქართულ საღმთო წიგნთა, მაგრამ პირველ ბიჯზედ მაინც შეცდომეებს ვერ ასცილდებოდნენ... მხოლოდ ეს შეცდომებიც კი ვახტანგის ნაბეჭდ წიგნებში მეტად მცირეა. შემდეგ ნაბეჭდებს, როგორც ნამეტანად ჩვენში ახალს შეცდომები არა თუ თან გაჰყვა, კიდეც მიემატა. აი ეს სთქვა რამდენიმე ქართველ ხელთნაწერ ძველთა მკითხველმა. ამაზედ უმაღლესმა წრემ ვითომ და გულნატკენებით გააბა: „ქართული სამღვთო წიგნები, არა თუ შესწორებას, ახალ თარგმანსაც კი თხოულობსო"... ჩვენში ძველის კითხვა მეტად მცირემ იცის, „ბალი ალა" ძახია მღვდლებმა, რომელთაც ძველის გაგონილი თუ აქვთ, თორემ თითონ მისი არა გაეგებათრა, კვერი დაუკრეს და დაარსდა „მთარგმნელ—შემასწორებელი კომისია"... რას აკეთებდნენ, ამდენიხანია, რას ასწორებდნენ, ეს არავინ უწყოდა. ეხლახან ახალმა თავმჯდომარემ ამ კომისიისა ეპისკოპოზმა დავითმა გამოსცა ამის შესახებ წიგნაკი. ეპისკოპოზი ვერ წაჰსვლია ჭეშმარიტებას და პირდაპირ ამბობს, ძველი მწიგნობრობა ჩვენში სრულია ენითაც და თარგმანითაც. ქართველ წმ. მამამათა ნაწარმოებთ შესწორება სრულიად აღარ სჭირიათო... იმიტომ უნდა აიღონ და იქიდან გადაბეჭდონ.. მაგრამ ეპისკოპოზი მაინც რიღასთვის ჰოჰმანობს და ბრძანებს კარგი იქნება კიდევ სლავურთან შედარება და შესწორებაო.. თანაც დასძენს: ურიგო არ იქმნება, რომ ხუცურის მაგიერ ეს წიგნები მხედრული ასოებით დაიბეჭდოსო... აი ეხლა გვაკლდა!..

მართალია, უკუღმართობა ისეა ყალხზედ შეყენებული ჩვენში, რომ მარტო „ბალ ალას" ძახიას შეუძლიან იმუშაოს ოფიციალურ კომისიებში.. მაგრამ ამ გვარმა საქციელმა სადამდის უნდა გვაზარალოს...

რომ დიდებულნი თარგმანნი და ნაწარმოებნი ქართველ წმინდა მამათა თხოულობენ მხოლოდ გადაბეჭდვას და არა შესწორებას, მერე ისიც ჩვენ დროს და ჩვენ ბეჩავთ მიერ—ეს უეჭმარიტესი სიმართლეა. ნუ თუ ისეთი ღვთისმეტყველი და მწიგნობარი, როგორიც ყოფილა პეტრიწი ჭირჭიმელი, რომელსაც პოეტურის ენით უთარგმნია სახარება და ისე დიდებული, რომ აზროვნების იოტაც არაა შებღალულ ნუ თუ იმ სასულიერო ლიტერატურას, რომელსაც პეტრიწები არა ერთი და ორი ჰყავანდა, დღეს ჩვენ დროის კალმოსანთა ჯიბბნა შეჰფერით?!!...

**ბერი მინდია.**

# სერენადა

დილაა... დილა. ცაცხვ ქვეშ ვწევარ დანამულ ველზე,
სულს აცისკროვნებს ფრინველთ სტვენა;
სიო მრავალ-ფერ ყვავილს არხევს... მეხვევა ყელზე,—
ლხენაა... ლხენა!

***

რითმების გუნდი თავს მევლება... ვეალერსები.
პეპელა რვეულს დააფრინდა;
წყაროს მზის სხივად ჩავაქსოვე ჩემი ლექსები,
ლექსები წმინდა.

***

აქ ოცნებაა, სულის სარკევ, მხოლოდ ოცნება,
აქ თვით სიცოცხლე მადლს ასხურებს;
მანდ კი დილეგში: ზღვისა ფსკერი, ქვეყნური ვნება
ზიზღით დაგყურებს.

***

ჩამკიდე ხელი... მომეც ფიცი გრძნებით აღძრული,
დაჰშორდი სოფელს, ხალხთ ნათესავს,
თორემ უფსკრული, ჩემო კარგო, ზღვისა უფსკრული
წამართმევს შენს თავს.

ზიყი. **ი. გრიშაშვილი.**

# მგზავრი

***

სული ილტვება... მისწრაფების ჰქრება ლამპარი,
მაგრამ გზა ბნელი, ეკალშლილი უსაზღვრო არი...
წინ მელობება ფრთა გაშლილი შავი წყვდიადი,
შორით კი მესმის დაცინვისა ხმა —ხმა ზვიადი!

***

არარა იძვრის, დახშულია კარი შვებისა,
სდუმს ყოველივე, ვით სამარე მყუდროებისა...

***

და მკრთალი სხივი იმედისა უკვე დამქრალი:
დაუბურიათ შავ ფრთიათა ქვეშ ღრუბელთა ბნელთა;
და თვით სიკვდილიც, ვით გუშაგი თანამავალი.
ადრე მთრგუნავი წმინდა გრძნობათ, ზრახვათა წრფელთა...

***

შავ ცელ გაწვდილი განშორების ჰანგს მიმღერს ბედკრულს,
და ბნელ მოთხრობით ცხოვრებისას მამცნევს დასასრულს!..

***

— მაგრამ ჰე ღმერთო, მიუწდომელ სიყვარულისავ!
რისთვის აღუძრავ ხვაშიადსა სულს დაიბლუბულს?—
სიამის ლანდი თუ კი წუთით გამოუკრთლებს,
საუკუნოდ კი მისცემ ულვთოდ სამარეს... უფსკრულს?!..

**ს. ფაშალიშვილი.**

# დ. ნიკონოვის წერილისა გამო.

(სახ. მასწავლებლების საყურადღებოდ).

გაზ. „Кут. Лист."-ის მე—98 ნომერში დაიბეჭდა წერილი, ივლისის პირველ რიცხვებში სახალხო მასწავლებელთა ჯგუფის მიერ ახალათონში შესრულებული ექსკურსიის ხელმძღვანელის ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის დ. ნიკონოვისა, რომელშიაც მოჰყავს რა ანგარიში მის მიერ ექსკურსანტებისაგან შეკრებილ ფულების შესახებ, თან აცხადებს, რომ 55 ექსკურსანტისაგან დარჩა საზოგადო ფული 9 მან. და 72 კაპ. და სთხოვს ყველას, ვინც ექსკურსიაში მიიღო მონაწილეობა გამოსთქვას თავისი აზრი, თუ რას მოახმაროს ეს ფულები. დაურიგოს უკანვე მასწავლებლებს, თუ შესწიროს რომელიმე საქველმოქმედო საზოგადოებას მასწავლებელთა სახელით. რადგანაც 55 მასწავლებლიდან ჯერ ათსაც არ ექნება სოფლებში წაკითხული ეს ანგარიში, მეორე, რადგან შეუძლებელია ყველამ გამოსთქვას თავისი აზრი წერილობით, რასაც დიდი დრო დასჭირდება და, მესამე, რადგანაც რაღაც 18 კაპ. უკანვე წაღებას არავინ არ იკადრებს, ამის გამო მე ვბედავ მასწავლებლების დაუკითხავათ და წინადადებას ვაძლევ ბ-ნ ნიკონოვს ეს 9 მან. და 72 კაპ. გადასცეს მასწავლებლების სახელით ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას, რასაც განყოფილება გამოაცხადებს გაზეთებში და მით აცნობებს მასწავლებლებს. ამასთანავე დავუმატებ და ვაცხადებ, უკეთუ რომელიმე ექსკურსიის წევრთაგანი აცხდება ამის წინააღმდეგი, მე ამ სტრიქონების დამწერი ვალდებულად ვხდი ჩემ თავს მიუხლო 18 კაპეიკი. **ლადო ბზვანელი.**

# მოწერილი ამბები

**ს. მარტვილი.** (სამეგრელო). აქაურ ინტელიგენტების ზოგი ნაწილი ძველებურად უსაქმობაში ატარებს დროს. წინეთ ერთი თუ ორი წარმოდგენა ზამთრობით ყოველთვის გაიმართებოდა ხოლმე, მაგრამ წელს—კიჯერ ამისთანას ვერაფერს ვხედავთ. სიზარმაცის მიზეზი უნდა იყოს, თორემ თუ წინეთ საჭირო იყო ერთი წარმოდგენა მაინც გამართულიყო, წელს ორი წარმოდგენა უნდა გვემართათ. სულ რამოდენიმე თვეა მას შემდეგ, რაც აქ სამკითხველო დაარსეს, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, უკვე არსებული, მაგრამ მკვდარი აღადგინეს. სამკითხველოს სიღარიბე ენით აღარ გამოითქმის: კედლები, მაგიდა, სკამები, სამიოდე ჟურნალ-გაზეთი, მეტი არაფერი... წიგნების ნატამალიც არ მოიძებნება. გამგეობა სამკითხველოსი შეძლებისა და გვარად ზრუნავს საქმის უკეთ მოგვარება-მოწყობაზე, მაგრამ, მოგეხსენებათ, უფულოდ ეხლა საქმის გაკეთება ძნელი საქმე არის. გამგეობამ ფული, რაც ხელთ ჰქონდა, უკვე სახლის შენებას და ჟურნალ-გაზეთების გამოწერას მოანდომა. ფული კვლავ საჭიროა წიგნების შესაძენათ. რომ ვინმე ითავებდეს აქ წარმოდგენის გამართვას სამკითხველოს სასარგებლოდ, კარგი იქნება. ცოტა რამ შემოსავალი დარჩება, რაც მოხმარდება სამკითხველოსთვის წიგნების შეძენას, რასაც აქ დღეს დიდი მნიშვნელობა ექნება, რადგან ხალხი უფრო და უფრო ეწევა გაზეთების კითხვას და საჭირ-ბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასს!

ადგილობრივი სამართველოები და მათი ბატონ-პატრონნი არიან კარგ ნიადაგზე დამდგარნი. ყველგან არევ-დარევაა. ადგილობრივი სამმართველო ამ ერთი თვის წინად რაღაც მანქანებით ცეცხლს მიეცა და სულ ერთიან გადაიბუგა. შენობის უქონლობისა გამო ცოტას გაწუდა სამმართველო სხვაგან არ გადაიტანეს, მაგრამ ხალხმა მას დროზე უშველა.. დროებით ბინა მიუჩინეს და ცდილობენ შენობაც ახლო მომავალში ააგონ.

ხოლერა, როგორც გაზეთები გადმოგვცემს, ტფილისიდან სხვა ქალაქებშიაც გადადის. ადვილად შეიძლება იგი ჩვენც გვესტუმროს; გვესტუმრება კიდეც თუ სისუფთავე არ იქნა დაცული. აქ არის პატარა დაბა ნათლადა ად წოდებული. მოვაჭრენი ამ დაბისა სისუფთავეს არ იცავენ. სოფლებიდან ბაზარსკეობით მრავლად იყრიან მოვაჭრენი თავს, ზოგი ფეხით, ზოგიც ურემით; მოაქვთ სხვა და სხვა გვარი სანოვაგე გასასყიდათ. ყველაფერი ეს კარგი საქმეა, მაგრამ უსუფთაობა, რაც ამის გამო ჩნდება, მავნებელია. საჭიროა, ვისაც ჯერ-არს მიაქციოს ყურადღება და მის სანიტარულ მდგომარეობას გაამჯობესებს. ადგილობრივ ბოქაულის პირდაპირი მოვალეობა იზრუნოს ამაზე.

ამ სამოსწავლო წლიდან აქ არსდება სამოქალაქო სასწავლებელი. ნებართვა უკვე მიღებულია, მაგრამ საუბედუროდ შენობა-კი აღარა აქვთ. უნდათ დროებით, სანამ სახლს ააშენებდნენ, სასწავლებელი სადმე მოათავსონ; ამ ხნობით მხოლოდ პირველი ორი კლასი გაიხსნება.

წელს აქეთკენ მოსავალს კარგი პირი უჩანს. გლეხი იმედოვნებს, იქნებ მომავალში მაინც აღარ ვიქნე დამშეულიო; წელს-კი იგი წელში გაწყვეტილია. მჭადი არ აბადია და სიმინდის ყიდვა-კი ძნელია მისთვის, რადგან სიმინდის ფასი ფუთი ერთ მანეთამდე ადის.

**ლა—რი.**

—

**ზემო-ქართლი.** ივნისის მეორე ნახევარს რომ გენახათ ზემო ქართლი, აგის თვალით არ ინახებოდა. ნათესი პური და სიმინდი გარეგანი შეხედულობით საამურ სანახავს წარმოადგენდა და 4—5 წლის განმავლობაში დაშეული ჩვენი გლეხი, იმედით უცურებდა მომავალს წლეულს მაინც მომივა მოსავალი და ცოდ შვილს გავაძღობო. ამ გარემოებამ წელში გამართა გაბეჩავებული ხალხი და სიმღერა, რომელიც თითქო დაავიწყდათ ჩვენ ხალხს, კვლავ გაისმა მთა-ბარში.

ყანები მოწქარებული იყო; სხვა დროს, რომ ივლისში იწყებენ პურის მკას, წრეულს ივნისის მეორე ნახევარში შეუდგენ ამ საქმეს. ეჭვი არაა დაჩქარებული მკის ერთი მიზეზთაგანი შიმშილიც იყო. ბევრმა ნაადრევად გადლეწა ქერი, რომ ქერის პურით მაინც გაეძღო თავისი ჯალაბობის კუჭი.

ავი იყო თუ კარგი მკა გახურდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. მკისავე დროს გამოცდილმა და დაკვირვებულმა კაცებმა შენიშნეს რომ ყანა მსუბუქია, და რომ პურს გამოსავალი არ ექნებოდა.

ქართლში ჭირთველა გაისმა და ხალხის იმედს ბოლო მოეღო. იქ სადაც 10 კოდს მოელოდნენ, კოდზე 4.5 კოდი აიღეს. ერთ შემთხვევაში გლეხს კაცს $1^1/_2$ დღის ნათესი პური ჰქონდა დათესილი. 4 კოდი დადა რომ გაის ლუმრა და თესლი ორი კოდი გამოაკლო, იმას შრომის ფასად დარჩა ერთი კოდი. რომელმაც უნდა გაისტუმროს ორის ალოს ფასი, რომელიც 15 მანეთს აღემატება, მომკისა, მოტანისა და გალეწის ფასი. ამას ისიც დაუმატეთ რომ მიღებული პური ხარჯიანი და დაბალი ხარისხისაა და მაშინ წარმოიდგენთ რა გუნებაზე იქნება მიწის მუშა. ერთად ერთი იმედი ეხლა სიმინდზეა დამყარებული, მაგრამ უოგვლის ფრის ამომგდებმა ქვენა ქარმა ისეთი დაჭკნობით დაიწყო ქროლა, რომ აქაც ვერ გაუდიმებს გლეხს იმედი.

მე ეჭვი არა მაქვს, რომ არ გაივლის დიდი ხანი ხალხთან სიტყვით დაახლოვებული და საქმით დაშორებული მთავრობის კაცები ბუკს და ნაღარას დაჰკრავენ, რომ მოსავალი კარგია და ხალხი ფეხზე წარმოდგაო, მაგრამ ეს ხომ ძველი ჰანგების განმეორება იქნება და ამიტომ ისეც თავს ვუშველოთ ჩვენითვე, რომ ღმერთიც მოგვეშველოს.

შველაზე თუ წავა საქმე, ისე არავინ საჭიროების ამას, როგორც სურამელი ებრაელები. ამათი გარემოება მკითხველმა რამდენადმე იცის. ცეცხლმა შარშან მთლად გაანადგურა მათი ავლა-დიდება. შეძლებულმა ხალხმა ავი იყო თუ კარგი თავს უშველა, ხოლო შეუძლებელმა ნაწილმა მთელი თავისი იმედები დაამყარა კომიტეტზე, რომელმაც თავს იდო უღარიბესთა დახმარება ფულის შეგროვებით.

157 გადამწვართაგან 15 ოჯახი თუ იქნება, რომ სხვის დაუხმარებლად ფეხზე დადგეს. აი შეუძლებელმა ებრაელებმა შარშან ზამთარში თავი კერძო ბინებში შეაფარეს იმ იმედით, რომ გაზაფხულზე ავი იქნებოდა თუ კარგი დახმარება გამოუჩნდებოდათ და მისი შემწეობით და თავისი მომჭირნეობით თუ სახლს არა ქოხს მაინც აიშენებდა, ზამთარში თავის შესაფარად ეს ესეც იქმნებოდა და რომ კომიტეტში არ აღძრულა საკითხი იმის შესახებ, რომ ებრაელები, როგორც სუფველგან, ვიწროთ არიან შეკუჭულნი და ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ზედმეტი ადგილის ყიდვა, ხომ უფრო ფართოთ დასახლდენ. ებრაელები კომიტეტის მეცადინეობით დათანხმდენ ამაზე და შესაფერი ხელწერილიც ჩამოართვეს. საქმე იმაზე მიდგა, რომ როგორც ნასახლარი ადგილები ისე შესაძენი უნდა დაეგეგმილიყო და გეგმის შედგენის შემდეგ იგი უნდა დამტკიცებულიყო და შემდეგ ამის შენობათა აგებას შესდგომოდნენ, ყოველივე ეს თქმით ადვილი სათქმელია, მაგრამ განხორციელება, მეტადრე მაშინ, როცა საქმე ჩინოვნიკებს ჩაუვარდათ, ფრიად ძნელი შეიქნა. მიწის მზომელი საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ გამოგზავნილი შეუდგა მუშაობას ზამთარშივე და დღეს რომ ივლისია კაცმა არ იცის რა გაკეთდა. ვიცით მხოლოდ ის, რომ ებრაელებს შენობის დაწყების ნებას არ აძლევენ მიუხედავად იმისა, რომ საჭიროება ამისა უველასათვის მეტად დიდია.

ებრაელებმა მიმართეს უეზდს და ითხოვდნენ, რომ მათ ნება მისცემოდათ შენობას შესდგომოდნენ და დღემდის სწორი პასუხი ვერავისაგან მიიღეს. მიმართეს ადგილობრივ კომიტეტს, მან გუბერნატორზე მიუთითა, გუბერნატორის სანახავად რომ წავიდნენ და რა ვერა ნახეს, მერე ნამესტნიკს მიმართეს თხოვნით; ეს თხოვნა ისევ გუბერნატორს, გადასცეს და რა შედეგი მოჰყვება ამას, ამის თქმა ძნელია. როგორც ირკვევა, ძველი'ა და შესაძენი ადგილების დაგეგმა აბრკოლებს საქმეს და ეს გარემოება, ყველა მიხვდება, მეტად საზარალოა ებრაელთათვის. თუ შენობა შეიძლება 3—4 თვე, ვიდრე დაზამთრდებოდეს, თორემ მერე შეუძლებელია. რადგან საეჭვოა რომ ნებართვას ებრაელები ახლო მომავალში ვერ მიიღებენ, უნდა ვიგულისხმოთ რომ მომავალ ზამთარს ისინი ისევ დაქირავებულ ბინებზე გაატარებენ, რაც აურებელ ხარჯს გამოიწვევს გარდა იმისა, რომ სახლები კვლავ აუშენებელი დარჩება და ასის წლის არსებული ვიწრობა ებრაელების უბანში ვერ განახლდება.

მკითხველი ადვილად მიხვდება რა აურაცხელია ებრაელების ზარალი საქმის დახანებისაგან გამოწვეული და ამისთანა პირობებში არავინ არის, ისეთი, რომ ებრაელებს ნამდვილი ხელმძღვანელობა გაუწიოს; თითონ ისეთი კაცები არა ჰყავთ, რომ ეს საქმე თავის თავს იდონ და მოაწესრიგონ და გარეშენი-კი როგორც მკითხველიც დაინახავდა ზემოთქმულიდგან; გულს არ იცხელებენ და ყველა ცდილობს თავი აარიდოს თავ-სატეხ საქმეს, თუმცა არც ისე თავს-ატეხაა, რომ კაცმა გულწრფელად გამსჭვალულმა მოყვასის სიხარულით, ვერ გადაახოს იგი. **კორტოხელი.**

# ერთი ნაკლი ქართულ წიგნების გამომცემლობისა

ბ-ნი ბარნოვი თავისს საყურადღებო წერილში, რომელიც დაიბეჭდა რამდენიმე დღის წინად „სახალხო გაზეთში", სრულიად არ შეეხო წიგნების გამომცემლობის ერთს მხარეს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მოვინდომე ეს მხარეც გავუთვალისწინო მკითხველებსა და ამიტი ჩემი წვლილიც შევიტანო ამ საკითხის გამოკვლევაში.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ, ჩვენ, ქართველები, ღარიბნი ვართ ცოდნითაც და „საზიზღარი" ფულითაც. ეს ფრიად სამწუხარო გარემოება დაჟინებით ავალებს ქართველ კალმოსნებსა: რაც შეიძლება მეტი შინაარსი ჩასტიეთ თქვენს ნაწერებში და ფასი კი, რაც შეიძლება, ნაკლები დაადეთო.

ვასრულებთ ჩვენ ამ მოვალეობას, თუ არა? სამწუხაროდ, არა დიდს ფორმატის ქაღალდზე ჩვენ ვბეჭდავთ მოკლე და ვიწრო ტექსა, რის გამო მომცრო შინაარსი დიდად გვეჩვენება. გარეგნობით ჩვენებური წიგნები მტერს თვალს დაუყენებენ, შინაარსის რაოდენობით კი (ღირსებას არ ვეხებით) საქმეში ჩახედულს მოყვარეს გულს ატკენენ. იმ ქაღალდზე, რომელზედაც თავისუფლად დაეტევა 32—33 სტრიქონი და სტრიქონში მოთავსდება 42 ასო, ჩვენ გავავსებთ 28—30 სტრიქონსა და სტრიქონსაც ვსაზღვრავთ 36 ასოთი. ამითაც არ ვკმაყოფილდებით წერილებსა და მოთხრობებს შორის ვტოვებთ ცარიელ ტრიოფონი მინდვრებსა... ამის გამო, მომცრო შინაარსი იჭერს ბევრს გვერდებსა... წიგნი დიდი გამოდის და ფასსაც დიდსა თხოულობს...

მოვიყვანოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი.

**„დედა-ენის"** ორივე ნაწილში არის 336 გვერდი. თითო გვერდზე დატეულია 32 სტრიქონი, თითო სტრიქონში მოთავსეიულია 42 ასო. ჩვენ რომ „დედა-ენა" დავბეჭდოთ ისე, როგორც იბეჭდებიან ყველა სხვა მისი მსგავსი სახელმძღვანელოები, რომლებშიაც თითო გვერდზე მოთავსებულია მხოლოდ 28—30 სტრიქონი და 36 ასოა, სივრცე ჩვენის წიგნისა იმდენად იმატებს, რომ მისი გაყიდვა ოთხ-აბაზზე ნაკლებ შეუძლებელი იქმნება; ეხლა კი, როგორც მოგეხსენებათ, ორივე ნაწილი „დედა-ენისა" ღირს ათ შაურად.

შევადაროთ ამ მხრივ „ბუნების კარი" და „გუთანი", რომელნიც დანიშნულნი არიან მესამე და მეოთხე წლისათვის და თანასწორი ფორმატი აქვთ. პირველს წიგნში არის 640 გვერდი, წინასიტყვაობით, მეორეში—488 გვერდი, აგრეთვე წინასიტყვაობით. პირველში ყველა გვერდზე მოთავსებულია 33 სტრიქონი, მეორეში 30 სტრიქონი; პირველის წიგნის სტრიქონი იპყრობს 42 ასოსა, მეორესი 36 ასოსა. დაწვრილებით რომ გამოვიანგარიშოთ—ესე იგი რაოდენობა გვერდებისა გავამრავლოთ სტრიქონების რაოდენობით და შემდეგ ასოთა რაოდენობით (640×33×42), „ბუნების კარში" აღმოსნდება 907,000 ასო, „გუთანში" (488×30×36) 527,400 ასო. ამასთან პირველი ყდით ღირს თოთხმეტი შაური, მეორე—ოთხი აბაზი უყდოდ.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ მე დავბეჭდე „ბუნების კარი" ისე, როგორც იბეჭდება „გუთანი", ესე იგი ტექსტს მივეცი უკანასკნელის წიგნის ტექსტის სიდიდე, მაშინ „ბუნების კარის" ტექსტი გადააჭარბებს 800 გვერდსა და ფასიც მანეთზე ნაკლებ ვერ დაედება. წარმოიდგინეთ წინააღმდეგიც: „გუთნის" ტექსტმა მიიღო სიგრძე და სიგანე „ბუნების კარის" ტექსტისა, და რა მოხდება? რაოდენობა „გუთნის" გვერდებისა ჩამოვა 340 გვერდამდე და ფასიც ერთი მესამედით იკლებს.

გადავიდეთ სამს ახალს წიგნზე. ესენი არიან: „გლეხის ისტორია“, „ერი და კაცობრიობა“ და ჩემი წიგნი, „რჩეული ნაწერები“. სამივე წიგნი ერთი და იგივე მოზრდილი ფორმატისანი არიან. მაგრამ ტექსტის სიდიდეში ბლომა განსხვავებაა. პირველს ორს წიგნში თვითეულს გვერდზე, დატეულია 32 სტრიქონი და სტრიქონში 42 ასო; ჩემს ახალს წიგნში კი თითო გვერდზე დასთვლით 38 სტრიქონსა და სტრიქონში აღმოაჩენთ 52 ასოსა. მე რომ „რჩეულის ნაწერების“ ტექსტისათვის მიმეცა ორის ხსენებულის წიგნის ტექსტის რაოდენობა, სიმრავლე ჩემის წიგნის გვერდებისა ავიდოდა 800 გვერდამდინ, და მაშინ წიგნი რვა აბაზზე ნაკლებ ვერ გაიყიდებოდა (ამოდენა წიგნები სხვა ენებზე სამს მანეთს ნაკლებ არ იყიდება).

წინააღმდეგ ამისა, ორის ხსენებულის წიგნის გამომცემლებს რომ ტექსტისათვის მიეცათ სიდიდე ჩემის ახალის წიგნის ტექსტისა, მაშინ „ერი და კაცობრიობა“ ერთი მესამედით ნაკლებს გვერდებს დაიჭერდა და ფასიც ამის შესაბამად იკლებდა. „გლეხიკაცის ისტორიასაც არ ექნებოდა ახლანდელი გადამეტებული სიდიდე, რომელიც აძნელებს წიგნის ხმარებასა, იგი მიიღებდა ზომიერს შნოიანს სიდიდეს და ფართოც ერთი მესამედით იკლებდა.

მე ასეთს სიდიდეს ტექსტისას დავადეგი არა ეხლა, არამედ იმავე თავით, რადგანაც ამას გვიკარნახებდა ქართული სიღარიბე ცოდნითა და ფულითა..

ზოგი ავტორი და გამომცემელი ამართლებს ვეებერთელა ცარიელს მინდვრებს დაბეჭდილს წიგნებში იმითი, ვითომ ამას სილამაზე მოითხოვდეს.

რომ ტექსტის სავსეობა ნაკლს კი არ შეადგენს წიგნისასა, არამედ ღირსებასა, სხვათა შორის, სჩანს იქედგან, რომ ჩემი „რჩეული ნაწერები“ ქართულმა და რუსულმა გაზეთებმა იცნეს „მშვენიერ გამოცემად“.

**იაკობ გოგებაშვილი.**

## პროფ. მ. ს. გრუშევსკი

14 ივლისს მთელმა უკრაინამ დიდის ამბით იდღესასწაულა თავისი მამულიშვილისა საზოგადო მოღვაწისა, მწერლისა და მეცნიერის მიხაილ სერგეის ძე გრუშევსკის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეი. ვისაც ერთხელ მაინც სჭერია ხელში უკრაინული წიგნი ან გაზეთი, იმას უთუოდ ეცოდინება ეს სახელი, რომელიც მთელი 25 წლის განმავლობაში უკრაინულ ცხოვრებასა და ლიტერატურას დარაჯათა და მცველად უდგა.

მ. ს. გრუშევსკი სასულიერო წოდებისაა. დაიბადა კიევის გუბერნიაში. იმისი პაპა მღვდელი იყო. მამა კი გიმნაზიის მასწავლებელი, ბოლოს სამასწავლებლო ოლქის უფროსიც. მ. ს. გრუშევსკი დაიბადა 1866 წელს ქალ. ხოლმში, სადაც მაშინ იმისი მამა მასწავლებლობდა. პატარაობა მან კავკასიაში გატარა და აქვე გაათავა გიმნაზიაც, რომლის შემდეგაც კიევის უნივერსიტეტში შევიდა. უნივერსიტეტი მან გაათავა 1890 წელს 24 წლისამ. ოთხი წლის შემდეგ ლვოვის უკრაინულ უნივერსიტეტში გაიხსნა კათედრა მსოფლიო ისტორიისა, და ამ კათედრაზე მიიწვიეს მ. გრუშევსკი, როგორც იმ დროის უკვე ცნობილი და დამსახურებული მეცნიერი. მისი პირველი სამეცნიერო შრომა უკრაინის ისტორიის შესახებ კიევის უნივერსიტეტმა ოქროს მენდლით დააჯილდოვა. მ. გრუშევსკი ამ ჟამადაც ლვოვშია პროფესორად და სტუდენტ უკრაინელებს უკითხავს უკრაინის ისტორიას. ამ 25 წლის განმავლობაში გ. გრუშევსკიმ იმდენი სწერა და იმუშავა, რომ სხვა ამის ათი ამოდენა დროსაც კი ვერ მოასწრებდა. მან წერა დაიწყო მოთხრობებით, რომელთაც ათავსებდა გაზეთ „Діло-ში“. მისი მოთხრობების კრებული გამოიცა შემდეგ კიევში. მაგრამ ჩქარა შეიგნო მ. გრუშევსკიმ, რომ უკრაინელებს უფრო ეჭირვებათ მეცნიერება, რომ შეიტყონ თუ ვინ არიან ისინი და ვისი ჩამომავალი და რომელი მომავლისკენ უნდა ექიროთ მათ თვალი. ექვსასზედ მეტი მეცნიერული შრომა აქვს დაწერილი მ. გრუშევსკის; ამათში საუკეთესოა მისი „რუსეთის უკრაინის ისტორია“, რომელიც შვიდ დიდ წიგნად გამოვიდა. ამასთანავე იმისი რედაქტორობით გამოდის სამეცნიერო ყოველ თვიური ჟურნალი უკრაინულ ენაზედ: „літературно—науковий вістник“, აგერ უკვე ხუთი წელიწადია იმანვე შეჰქმნა „შევჩენკოს სახელობის მეცნიერული ამხანაგობა“. რუსეთში რომ უკრაინულ ენას თავისუფალი გზა მიეცა მ. გრუშევსკიმ მაშინვე აქაც დაიწყო მუშაობა ჟურნალ-გაზეთებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ იმან ბევრი იბრძოლა უკრაინული ენის თავისუფლებისთვის. უკრაინული წიგნების, რომლებიც მაშინ მხოლოდ გალიციაში გამოდიოდნენ, აკრძალული იყო რუსეთში გადმოტანა. 1904 წელს მან ცხარე წერილი მისწერა ამის შესახებ მაშინდელ მინისტრს თავ. სვიატოპოლკ მირსკის, რომ იმას ნება დაერთა რუსეთში უკრაინული წიგნებისთვის. ამის შემდეგ ნება დართო მინისტრმა და გრუშევსკიმაც თავისი ზემოდ დასახელებული ჟურნალი, რომელიც აქამდის ლვოვში გამოდიოდა, კიევში გადმოიტანა. იგივე სწერდა ყველა რუსულ ჟურნალ-გაზეთებში უკრაინულ საქმეების გამო და სცდილობდა უკრაინულ სიტყვისათვის თავისუფლების მოპოვებას. გრუშევსკიმ მეორე ამხანაგობაც—„უკრაინული სამეცნიერო ამხანაგობაც“—შეადგინა. ეს ამხანაგობაც როგორც ზემოდ დასახელებული შევჩენკოს სახელობის ამხანაგობა სწერს და ავრცელებს ხალხში სამეცნიერო წიგნებს უკრაინულ ენაზედ და საზოგადოდ უკრაინულ მეცნიერებს სათავეში უდგანან. ყველა წიგნებს, რომელთაც ეს ორი ზემოდ დასახელებული ამხანაგობა სცემს, აგრეთვე მ. გრუშევსკი რედაქტორობს. უნივერსიტეტში ლექციების კითხვის გარდა საჯარო ლექციებსაცა კითხულობს ხოლმე. იგი მონაწილეობას იღებს აგრეთვე ყველა უკრაინულ გამოცემებში: „სილო“ „რადა“ და სხვ.

1905 წელს მ. გრუშევსკიმ რამდენიმე წერილი დასტამბა ქართულ გაზეთ ივერიაშიაც.

რასაკვირველია, ამ მოკლე ჩამოთვლით ვერ აღვნუსხავდით ყველა იმას, რაც გრუშევსკიმ თავის სამშობლოს შესძინა. იგი ჯერ ისევ ახალგაზდობა და კიდევ ბევრს შემატებს თავისს სამშობლოსაცა და მსოფლიო მეცნიერებასაც.

**გ. ნამორაძე.**

## რუსეთი

**ამურის რკინის გზა.** ამურის რკინის გზის გასაყვანად სხვათა შორის სმოლენსკის გუბერნიიდგან 500 მუშა წაიყვანა მოიჯარადრე პოტრებოვმა. ამას წინად იქ გაფიცვა დაიწყეს, რომლის შემდეგაც ამ მუშებს საშინელი გაჭირვება დაადგათ. აი გაზეთების სიტყვით როგორ ასწერენ ისინი ამ თავიანთ ამბავს წერილში, რომელიც ნათესავებისთვის გამოუგზავნიათ: „ყველა მუშებისაგან სოფ. გორიუჟინის ყველა მოხუცებულთ. გატყობინებთ, რომ ჩვენ ღვთით ვცოცხალ ვართ. ადგილზედ მოვედით 21 მაისს, მაგრამ ადგილ-მდებარეობა ძალიან ცუდი გამოდგა. დაიწყეთ მუშაობა, მაგრამ რასაც ვიღებდით ყველაფერი იქვე გვეხარჯებოდა. მოვითხოვეთ მომატება ქირისა და მთელი 12,000 მუშა გავიფიცენით. მოვიდა ბოქაული კაზაკებით და გვითხრა, თუ წინანდელი ქირით არ იმუშავებთ, ყველას ჩამოგახრჩობთო. მაგრამ ჩვენ მაგრად ვიდექით და უთხარით, თუნდა დაგვხოცეთ მაგ ფასად არ ვიმუშავებთო. მაშინ იმან ჩვენი რწმუნებულები ციხეში ჩასხა. ჩვენ კი გამოგვრეკეს იქიდგან. მოიჯარადრეებმა ჩვენი პასპორტები დანიშნეს, რომ ჩვენ სამუშაოდ არსად არ მიგვიღეთ. ვგონებთ ციმბირის ტაიგაში მოგვიხდება ხეტიალი. სანამ ცოცხლები ვართ, ვეცდებით როგორმე სამშობლოში დავბრუნდეთ. იქნებ ხუთი წლის შემდეგ მაინც როგორმე მოვაღწიოთ მანდამდის. დემენტში ექვსი დღე ვიყავით, შემდეგ გემის უფროსსა ვთხოვეთ და იმან 600 ვერსი იაფ ფასად წამოგვიყვანა სრეტენსკამდე. სრეტენსკში ჩიტას გუბერნატორი მოვიდა და გვითხრა, რომ უნდა იმუშაოთ, თუნდა ეს თქვენთვის საზარალოც იყოსო. თუ არ გინდათ, სადაც მოგესუროთ იქ წადითო. ჩვენა ვთხოვეთ სამშობლოში გაგვზავნა. მაგრამ ასე გვითხრა, რომ ძალიან ბევრნი ხართ და თქვენი გაგზავნა არ შეიძლებაო. ეხლა არ ვიცით რა ვუყოთ“. ასე ასწერენ მუშები თავიანთ უმწეო მდგომარეობას.

**კიევის კომერციული ინსტიტუტი.** ამ ჟამად კიევის კომერციულ ინსტიტუტში ითვლება 1931 სტუდენტი, ამათგან 1580 კაცია და 351 ქალი. სარწმუნოების მხრივ ასე განიყოფებიან—ებრაელები 1014, მართლმადიდებლები—814, კათოლიკები—67, ლიუტერანები—19, სომეხ-გრიგორიანები—15 და კარაიმი—2. ქართველი ინსტიტუტში 27 კაცია და 1 ქალი.

კიევის უნივერსიტეტში აქამდის 600 თხოვნა მისულა.

**კოოპერატორების ექსკურსია.** პირველ აგვისტოს სამზღვარ გარედ წავა კოოპერატორთა ჯგუფი ექსკურსიად. ექსკურსანტებს აზრადა აქვთ შემოიარონ გერმანია, ინგლისი და შოტლანდია, სადაც ისინი გაეცნობიან კოოპერატიული მოძრაობებს. გამბურგში ისინი მონაწილეობას მიიღებენ კოოპერატორთა საერთაშორისო კონგრესში. (რადა).

**სლავიან სოციალისტების მანიფესტაცია.** ბოლგარიის სოციალისტებმა სოფიაში მომხდარ სლავიანთა კრებას ძალიან ცუდი თვალით შეხედეს. ბოლგარიის სოციალ-დემოკრატებმა მათ საპროტესტოდ სოფიაშივე მოახდინეს პარტიული კონგრესი, სადაც გადასწყვეტს მანიფესტაცია მოეხდინათ; მანიფესტაციაში მონაწილეობა მიიღეს რუსეთისა, უკრაინისა, სერბიისა, ბოსნია-ჰერცოგოვინისა და ხორვატიის სოციალ-დემოკრატთა წარმომადგენლებმა მანიფესტანტებმა ბოლგარიის სატახტო ქალაქის უმთავრესს ქუჩებზედ გაიარეს და ბოლგარიის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ლევსკის ძეგლთან შეჩერდნენ. აქ წარმოითქვა სიტყვები. პირველი სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტმა კირკოვმა, რომელმაც გამოაცხადა, რომ ეს მანიფესტაცია სლავიანთა კრების საწინააღმდეგოდ არის გამართულიო, სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე უკრაინული გაზეთის „Землі й волі“-ს რედაქტორმა ლევინსკიმ. „შავრაზმელ სლავიანთა კონგრეს სოფიაში,—სთქვა მანუფრო მომეტებული მნიშვნელობა უკრაინელი ხალხისთვისა აქვს. ამ კონგრესზედ სლავიან შავრაზმელთ ფილევიჩისა, გუჩკოვისა, კრამარაჩისა და სხვების პირით კატეგორიულად უარი ჰყვეს უკრაინელ ხალხის არსებობა. მე, იმ ოცდაათ მილიონიანი ერის შვილი და უკრაინელი მუშათა წარმომადგენელი საჭიროდ არა ვთვლი ამ უსამართლო და საზიზღარ განცხადებას პასუხი გავცე. დაე ეს მანიფესტაცია იმისი დამამტკიცებელი იყოს, რომ პანსლავიზმი სისულელეა, სლავიან რეაქციონერების გამოგონილი. ეს მანიფესტაცია ამის მოწმეა, რომ სლავიან ერების სოციალისტ მომუშავე პანსლავიზმთან არავითარი საერთო არა გვაქვს რა“. შემდეგ ულაპარაკნიათ ჩეხიის დელეგატს შმერალს და სერბიის წარმომადგენელს ლაპჩევიჩს, რომელთაც პანსლავიზმს დაუპირდაპირეს პანსოციალიზმი.

## სპორტი

30 ივლისს ქართულ საზაფხულო თეატრში ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატის მე-13 დღეს იჭიდავეს: 1) მატიუშენკომ და კალკაუმ. (უკანასკნელი წაიქცა). 2. ვანრიტენმა და რეიბერმა (ოსმალურ ჭიდაობაში — წაიქცა რეიბერი) 3) პეტერსონმა და ნაჯიმ, ოცი წუთის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ წააქცია. ჭიდაობა მათ შემდეგისათვის გადაიდო. 4) შავმა ნიღაბმა და მახოვმა. (მახოვი ძვეულებრივ წააქციეს). ბოლოს პროგრამის გარეშე იჭიდავეს წითელმა ნიღაბმა და აპოლონმა.(აპოლონი წააქციეს). ეს წითელნიღაბი გამოჩნდა ამ საღამოს და გამოითხოვა ყველა მოჭიდავენი. ამავე ღამეს ჩაეწერა ერთი კაზაკიც რუსულ-შვეიცარულ ჭიდაობაში.

## განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ღთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—153

## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 1/2—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1 1/2 ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1 1/2—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9 1/2—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 1/2 ს. საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 1/2 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

## კატალოგი
**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.**

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოხელიანი გ. სადმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . 50 „
4. ფსალ[...]ნი. ტფ. 1901 წ. . . 10 „
5. ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . , . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
19. იერეთელი ჰ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-სა“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშადი კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . 5 „

ვ. ყიფიანის დრამა
## სამეგრელოს მთავარი ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
## „ნაკადული“
(წელიწადი მეექვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვლამი).

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶
## მოსავალი
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს რჩეულ მცენარეების საუკეთესო [...] გაგზავნას უფასოდ.
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე უფასოდ თითო წიგნს-ბროშურას მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

## მატარებლების მიმოსვლა
**18 აპრილიდან 1910 წ.**
საათები ნაჩვენებია ტფილისის მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმისკენ: | N 1, ხწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ. |
| ბაქოსკენ: | N 2, ხწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ. |
| ბორჯომისკენ: | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| ჯულფისკენ: | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ. |
| ერევნისკენ: | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| ბათუმიდან: | N 2, ხწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| ბაქოდან: | N 1, ხწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| ბორჯომიდან: | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| ჯულფიდან: | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| ერევნიდან: | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ. |

წიგნის მაღაზიების
## საყურადღებოდ
თანახმად სიტყვიერის და წერილობითის თხოვნისა, იაკობ გოგებაშვილის ახალი **მანეთიანი** წიგნი (რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები) წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ სამ აბაზად ამა წლის ღვინობისთვის პირველამდის, შემდეგ კი მათთავისაც მანეთად ეღირება. სრული იმედია, რომ მაღაზიები, რაკი თითქმის ნახევარ ფასად მიიღებენ ამ წიგნს „წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიიდან, თავის მხრივაც დაუთმობენ მანეთზედ ნაკლებ მყიდველებსა, მეტადრე სახალხო სკოლების მასწავლებლებსა... (8—7)




მოითხოვეთ
## სწორე და მკვიდრი საათები
ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.
ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი ხაზურავით «ს[...] ბ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14% ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი [...] აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. [...]ათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ [...] სებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით [...] სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ. 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| ПАРИЖЪ PARIS 7 | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ ძეწკვს ბრელოკით და ზამ[...] ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრა[...] 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსწერათ და მაგრად დააკრა[...], ან კონვერტზე ან ღია ბარათზე. (50—7)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
## ჯეჯილი
ოცდა პირველი წელიწადი
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის.
**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.
ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიათ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „იმერეთ“-ს და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**
ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛ[...]
(5—5) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა**

დაიბეჭდა და 1 სექტემბრიდან დაურიგდება ხელის მომწერლებს
## დუტუ მეგრელის ნაწერების მეორე წიგნი „მოთხრობები“
(მოთავსებულია 19 მოთხრობა).
ძველმა ხელის მომწერლებმა მანამდე უნდა აცნობონ ამ ადრესით: Тифли[съ] Типографія „Шрома“, В. К. Болквадзе: ა) თავისი ახალი ადრესი, თუ ადრესი შეცვლილია, ბ) წიგნების რაოდენობა და ვ) საიდან ჰქონდათ გამოწერილი წიგნები.
ვინც დანიშნულ დრომდის გამოგზავნის აგრეთვე დასახელებულ ადრესით ან პირადად მოიტანს ერთ მანეთს ძველ ხელის მომწერლებთან თად გაეგზავნება ორივე წიგნი: „ლექსები“ და „მოთხრობები“.

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო
ჟურნალს
## „განათლება“-ზე
(წელიწადი მესამე)
ჟურნალი გამოდის წელიწადში ათჯერ. ექვსი ნომერი უკვე გამოვიდა და გზავნა ხელის მომწერლებს. ამ ჟამად იბეჭდება სექტემბრის ნომერი, რომელიც მოვა 1 ენკენისთვეს. ჟურნალი მოზრდილი ფორმატისაა, თითო ნომერი შეიცავს [...] ბეჭდურს თაბახს. წლიურად ღირს **სამი მანეთი** გაგზავნით, სოფლის მასწავლებ[ლებ]თათვის **ორი მანეთი.** ჟურნალის დაკვეთა შეიძლება—„წერა-კითხვის საზოგადო[ების] წიგნის მაღაზიაში“—**ივანე ავალიშვილთან, „ნაკადულის“** რედაქციაში და კ[...] აგენტებთან.
**მისამართი:** Тифлисъ Дворянская Грузинская Гимн[азія] Л. Г. Боцвадз[е]
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვა[ძე]**

## სანერგე ამერიკულ ვაზისა
„კლდ-ეგურული“ ქუთაისში.
## ● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები
**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—6